ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2021687

ნომერი: AR1323302

თარიღი : 01.07.2015

გაცემის თარიღი : 20.07.2015

გაცნობის თარიღი : 20.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეხილსანერგე მეურნეობა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N 1 , (ნაკვ.1/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფოჩიანი პ/ნ 27001002771
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 18 ბ. 44

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებით (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ხეხილისანერგე, ხეხილისანერგე მეურნეობა, შპს „გამა+“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (ნაკვეთი #419) და ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქუჩა ხევზმარის, N1, (ნაკვ.1/4), შპს „გამა+“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #001/004) I კლასის დროებით (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობების მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან # 882013025588 24/01/2013წ. საკადასტრო კოდი # 81.21.05.419; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882015220136 28/04/2015წ. საკადასტრო კოდი # 01.11.13.001.004;საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ხეხილისანერგე, ხეხილისანერგე მეურნეობა, შპს „გამა+“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (ნაკვეთი #419) და ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქუჩა ხევზმარის, N1, (ნაკვ.1/4), შპს „გამა+“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #001/004) I კლასის დროებით (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობების მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.